ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 სექტემბრის

მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ -ს გაუქმებისა და ფრაქციის თანამდებობის პირთა უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღებისა შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

2. . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს:პავლე კიკალიშვილი

3. ხარგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:კახაბერ გოლუბიანი

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 სექტემბრის მორიგი სხდომის
ოქმი N 17

2021 წლის 06 სექტემბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ჯამბული გამცემლიძე, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, აკაკი მაჭავარიანი, სულ 24 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

ვლადიმერ გელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

კახაბერ გოლუბიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. ბაბლიძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ჟურნალისტი,

ს. გლუნჩაძე- ოპერატორი.

მ. შარიქაძე - ა.ა.ი.პ. „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის“ ჟურნალისტი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ -ს გაუქმებისა და ფრაქციის თანამდებობის პირთა უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღებისა შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს:პავლე კიკალიშვილი

3. ხარგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:კახაბერ გოლუბიანი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -კონსერვატორები" -ს გაუქმებისა და ფრაქციის თანამდებობის პირთა უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღებისა შესახებ **(თან ერთვის).**

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -კონსერვატორები" -ს გაუქმებისა და ფრაქციის თანამდებობის პირთა უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღებისა შესახებ

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია ფრაქციაში **„ მოძრაობა ხარაგაულისათვის"** შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ (ინფორმაცია ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

ინფორმაცია საკრებულოს მიერ მიღებული იქნა ცნობად

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პავლე კიკალიშვილის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

თ. ფცქიალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ხარაგაულის ბიუჯეტი უნდა იყოს 100 მილიონი ლარი, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა ქონების გადასახადის ხარჯზე.

დ. კიკნაძემ, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის საქმიანობას აფასებს დადებითად

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დავით კიკნაძის წინადადება საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ანგარიში განიხილა კომისიის სხდომაზე და სამსახურის საქმიანობას კომისია აფასებს დადებითად

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სამსახური მუშაობს აქტიურად, არის სესაძლებლობა არსებული კადრების საშუალებით საქმიანობის ხარისხი ავწიოთ, ვმუშაობთ 2021 წლის ბიუჯეტის შენიშვნების უმეტესი ნაწილი, რომელიც საკრებულომ გადაუგზავნა მერიას სამსახურის მიერ იქნა გაზიარებული, ავანსების გაცემასთან

დაკავშირებით გავამკაცრეთ მოთხოვნები, შევძინეთ მიზნობრიობა, პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, სპეციალური ბლანკებით ჩავატარეთ მოსახლეობის გამოკითხვები, რომელთა აზრიც იქნება გათვალისწინებული. გვაქვს გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებები საქმიანობის გაუმჯობესები მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა პავლე კიკალიშვილის წინადადება საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**